



"თქვენი აფხაზეთი" A8



ბულახილიად B3



მინისტრის ანგარიში საზოგადოებასთან B4

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

გაზეთი 24 საათი

შაბათი, 26 ნოემბერი, 2005 წელი. №262 (1162)

ფასი 50 თეთრი

ახვები

ჩინოვნიკები ყარნაღის ტახტს ეზაქრებინან

"ახალგაზრდა იურისტები" აცხადებენ, რომ ჩინოვნიკები ყარნაღის ტახტს უკვე დაუფარავად ემუქრებიან. კრიტიკული სტატიების ავტორებს ხშირ შემთხვევაში ემუქრებიან ან ფიზიკურად უსწორდებიან.

A2

ახვები

"გაზრომთან" მოლაპარაკება წლის ბოლომდე გაბრძოლებას

საინფორმაციო სააგენტო "ინტერპრესნიუსის" ინფორმაციით, რუსეთმა საქართველოს 1000 კუბური მეტრი ბუნებრივი აირის, 64-ის ნაცვლად, 110 დოლარად შეძენა შესთავაზა. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა რუსეთის მიერ შემოთავაზებულ ახალ ფასს "პოლიტიკური" უწოდა.

A2

ახვები

დავუტახტის შიგრილობა თუ შიგრილობის ნიმუხი?

ზუგდიდის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი გოჩა ფიფია, უკვე რამდენიმე დღეა, პარლამენტის სხდომათა დარბაზში შიგრილობის გუმბირაზე პლენარულ სხდომაზე დეპუტატს იმის მტკიცებაც უწევდა, რომ ის ფსიქიკურად მერავცადა.

A3

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაბი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

აინფი

	26/11	27/11
თბილისი	15	17
ტყიბული	19	19
სოხუმი	19	18
ღმანისი	13	12
გორი	14	14
ონი	13	11
ზუგდიდი	21	21
ახმეტა	14	17
ბაზრა	18	15
სამტრედიანი	21	21

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.7974
ევრო	2.1136
ბრიტანული სტერლინგი	3.0883
რუბლი	0.0624

ახვები	A 2
ახვები	A 3
ტანდარი	A 4
ახვები	A 5
ბანკინგები	A 6
ბანკინგები	A 7
პროექტი	A 8
პროგნოზი	B 2
პროგნოზი	B 3
სხვადასხვა	B 4

ორდონიანი თვითმმართველობა, თურმე, ადრეა

ნანა ქადაგიშვილი

უმრავლესობას ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონში გაზაფხულამდე ბევრი ცვლილების შეტანა მოუწევს - ვარაუდობს ოპოზიცია.

სხდომაზე წარდგენილი სამი კანონპროექტიდან, საპარლამენტო უმრავლესობამ სახელისუფლებო კანონპროექტი 139 ხმით მიიღო. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანაში თვითმმართველობა ერთ - რაიონის დონეზე მოეწყობა. რაიონებში შემავალ სოფლებსა და ქალაქებში თვითმმართველობის ერთეულები გაუქმდება და ერთი ადმინისტრაციული ცენტრი შეიქმნება.

ბაზრძევა A3 ბავრძევა



დღით ბერძენიშვილი ვარაუდობდა, რომ უმრავლესობის მხრიდან დათმობაზე წასვლა და ალტერნატიული კანონპროექტების განხილვა პოლიტიკური ფანდი იყო.

"უნიჭო ფახბურთელი", რომელმაც მსოფლიო ადვოკატი კახი კალაძე მინდორზე და მინდორს გარეთ

ლიანა ჩაჩუა

მაშინ ფახბურთელი პირველ ნაბიჯებს დგამდა. მშობლიური ქალაქში, სამტრედიის საფეხურით გუნდში მივიდა სათამაშოდ, თუმცა არ მიიღეს. გუნდის მწვრთნელმა ჩათვალეს, რომ იგი უნიჭო ფახბურთელი იქნებოდა. ბავშვობაში განცდილ იმედგაცრუებას არც ერთი წუთით არ გაუწელებია კახი კალაძის სწრაფად დიდი ფახბურთისაკენ. "ბავშვობიდან ქვეცნობიერად ვგრძობდი, რომ შემდეგ დიდი ძლიერი ფახბურთელი გამზადდარიყავი. ამ ფაქტის შემდეგ უფრო გამომძაფრდა ეს გრძობა. მსურდა ყველასთვის დამემტკიცებინა, რომ მე დიდ ფახბურთის ვითამაშებდი."

ბაზრძევა B1 ბავრძევა



კახი კალაძე სტუმრად "24 საათის" რედაქციაში.

ირანს ჭარჭარობით არ დასტოვებ

ნიკა თარაგვილი

ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტომ (მაგატე) მიიღო გადაწყვეტილება, ჯერჯერობით არ გადასცეს განსახილველად ირანის ბირთვული დონორ-ს უშიშროების საბჭოს. გავლენიანი ირანელი სასულიერო პირის აქტუალური რაფსანჯანის თქმით, საერთაშორისო სააგენტოს ეს გადაწყვეტილება "სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია".

მაგატე-ს გუშინდელი რეზოლუცია მართალია მკაცრი იყო, მაგრამ მასში მხოლოდ მონიშნული ირანისადმი, უფრო "გამჭვირვალე" პოზიცია დაიკავოს. სპეციალისტთა შეფასებით, მაგატე-მ კიდევ ერთი მანქანა მისცა რუსეთს, დაარწმუნოს ირანი, დათმობებზე ნავიდეს.

ბაზრძევა A3 ბავრძევა



მაგატე-მ კიდევ ერთი მანქანა მისცა რუსეთს, დაარწმუნოს ირანი, დათმობებზე ნავიდეს.

გადაცხადებული ბავშვი თავისუფალია, სხვა გადაცხადებულთა ხადი უცნობია

სამი თვის წინ გადაცხადებული 11 წლის გენო პეტრიაშვილი გუშინ შინ, გორში დაბრუნდა. მისი მშობლები სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელმძღვანელს მაღლობას სწირავენ შვილის გათავისუფლებისთვის.

პირველი ცნობა 19 აგვისტოს ფორეს ხეობიდან გადაცხადებული გენო პეტრიაშვილის გათავისუფლების შესახებ ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების პრესისა და ინფორმაციის კომიტეტმა გაავრცელა. ბავშვის გათავისუფლება თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სამართალდამცველთა მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად გახდა შესაძლებელი.

"25 ნოემბერს, გამთენიისას, 4.10 საათზე 11 წლის გენადი პეტრიაშვილის გათავისუფლების სპეცოპერაცია დასრულდა. სპეცოპერაცია ორი დღის მანძილზე სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სამართალდამცველი ორგანოების მიერ რესპუბლიკასთან

მოსაზრევე საქართველოს ტერიტორიაზე ტარდებოდა. ბავშვის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია", - ნათქვამია კომიტეტის ცნობაში.

როგორც ცხინვალის თვითმმართველი მინიჭეტი ირმუნება:

"ჩვენ სპეცოპერაციის ჩატარება ცოტა ხნის წინაც შეგვეძლო, თუმცა ბავშვის სიცოცხლის საფრთხეში ჩადგება მოელოდით. ახლა კიდევ გვაქვს ჩასატარებელი ოპერაციის მეორე და მესამე ეტაპები, მაგრამ მთავარი ამოცანა - ბავშვის უვნებლად გათავისუფლება - შესრულებულია".

ბაზრძევა A2 ბავრძევა

Amnesty International-ის დასკვნის ორი სახე

საერთაშორისო ორგანიზაცია Amnesty International-მა ასეთი სათაურით გამოაქვეყნა დასკვნა, რომელიც საქართველოში, ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, არსებულ არცთუ საბარბილო მდგომარეობაზე საუბარია.

არადა, სულ ცოტა ხნის წინ საქართველოს პრეზიდენტმა საერთაშორისო ორგანიზაცია Amnesty International-ის ანგარიშით თავი მოიწონა. ორგანიზაციის მიერ გაკეთებული დასკვნით, ძალზე კმაყოფილი იყო შს მინისტრი ვანო მერაბიშვილიც. პარლამენტში გამართულ სამთავრობო საათზე ადამიანის უფლებების დაცვაზე საუბრისას მან სწორედ Amnesty International-ი მოიხსენია.

"ერთ-ერთმა ყველაზე პრესტიჟულმა საერთაშორისო ორგანიზაცია amnesty international"-მა ახლახან გამოაქვეყნა დასკვნა. ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, ასეთი დადებითი შეფასება მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას არ მიუღია. ყველანი გვეკითხებიან, რა გააკეთეთ ასეთი, როგორ მოაწონეთ მათ თავი. ფაქტია, წარმატებები, რომელიც ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ ჩვენთან არის, არც ერთ ქვეყანაში არ არის. ახლა აღარ არსებობს "ჩადება", ცემა-წამება. თუ ადრე ერთი საქმე იხსნებოდა, მას რვა მიზეზებოდა, ახლა ვერ ნახავთ ასეთ

სტატისტიკას, რადგან პოლიცია აგვეყვს ევროპულ დონეზე", - ასეთი განცხადება გააკეთა ვანო მერაბიშვილმა "24 საათისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

23 ნოემბერს, "ვარდების რევოლუციის" ორი წლისთავზე, Amnesty International-მა გამოაქვეყნა ანგარიში, რომელიც ორგანიზაცია შეფუთვას გამოთქვამს საქართველოში არსებული სიტუაციის გამო.

"დაკავებული წამებისა და არაპროპორციული მოპყრობის მეთოდების მოცივება ელექტროშოკის, დაკავებულითა თვებზე ცეცხლისა და სხვა სახის სასტიკი საპროცესო სახეობების ორ მაგიდას შორის მიმდებს, სივრცითა და სანდოთი მიყენებულ დამწვრობას, დაკავებულის პირთან იარაღის ლულის მიტანას და გასროლით დამუქრებას, დაკავებულის ოჯახის ცემით მუქარას, დაკავებულის პირის ნაჭრით დახშობას, რათა მან ვერ შეძლოს ყვიროლა; ცემას - მათ შორის, ხელკეტითა და იარაღის კონდახით და ფეხით.

ბაზრძევა A2 ბავრძევა

300 ათასი ლარის ღირებულების კონკურსის შედეგები

თბილისის მერია-საკრებულოს მოსამსახურეთა კონკურსზე ბიუჯეტიდან 300 000 ლარი დაიხარჯა. აქედან 100 000 ლარი საკონკურსო კომისიის წევრების ხელფასებზე წავიდა, დანარჩენი - კონკურსის საორგანიზაციო ღონისძიებებზე. კონკურსის შედეგად, ქალაქის მთავრობას და საკრებულოში არსებული 671 ვაკანსია დაკომპლექტდა, ანუ 8267 კონკურსანტიდან 671-ს გაუმართლა. მათი დიდი უმრავლესობა მერიისა და საკრებულოს ყოფილი თანამშრომლებია.

ნანა ქადაგიშვილი

მერია-საკრებულოს მოსამსახურეთა 18 აგვისტოს დაწყებული კონკურსი ორ ეტაპად (ტესტირება და გასაუბრება) ჩატარდა. ტესტირების უმეტესი ნაწილი (40 ტესტი) სამართლებრივ აქტებს ეკავა, 10 ტესტი კომპიუტერის ცოდნას ამოწმებდა, 30 კი - კონკურსანტის უნარ-ჩვევებს. გასაუბრებაზე გასულ კონკურსანტს საკონკურსო კომისიის 5-6 წევრი ხვდებოდა. კომისიის შემადგენლობაში თითო-თითო იურისტი, ფილოლოგი, ფსიქოლოგი, კომპიუტერის სპეციალისტი, საკრებულოს რამდენიმე დეპუტატი და მთავ-

რობა-საკრებულოს აპარატის უფროსები შედიოდნენ (ანაზღაურება მხოლოდ მინველმა სპეციალისტებმა მიიღეს). კონკურსანტს ჯერ "თავისუფალი თემა" ("როგორ წარმოგიდგინიათ იდეალური სახელმწიფო მოხელე?" "როგორ წარმოგიდგინიათ საკუთარი თავი ახალ სამსახურში?" "თბილისის ანჭყო და მომავალი...") უნდა დაეწერა, შემდეგ კი კომისიის წევრების კითხვებზე ეპასუხა. კითხვების ძირითადი ნაწილი ისევ სამართლებრივ აქტებს ეკავა, რამდენიმე კითხვა კომპიუტერის სპეციალისტი და ფსიქოლოგიც სვამდნენ.

ბაზრძევა A3 ბავრძევა



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს კონკურსს შემდეგი პროგრამებისა და ორგანიზაციების ლოგოების შესაქმნელად:

- პროგრამა "იაკობ გოგებაშვილი" - საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რეაბილიტაციის პროგრამა;
- პროგრამა "გიორგი ნიკოლაძე" - საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მარტივი ტიპის ღია სპორტული მოედნების აღდგენა-მოწესობის პროგრამა;
- შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი;
- ერთიანი ეროვნული გამოცდები - 2006;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სასწავლო გეგმებისა და სახელმძღვანელოების განვითარების ჯგუფი;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების ჯგუფი;

- საგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმწიფო სააკრედიტაციო სამსახური.

საკონკურსო პირობები:

- ლოგო უნდა იყოს ორიგინალური და სიმბოლურად ასახავდეს პროგრამის ან ორგანიზაციის ძირითად არსს და საბოლოო მიზნებს;
- ლოგოს სტილი, ფორმა და ფერთა შესაბამეა ლაკონური, ეფექტური და ვიზუალურად საინტერესო უნდა იყოს;
- ლოგო შესრულებული უნდა იყოს მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე და მნიშვნელოვნად აუზრუნველყვეს შესაბამისი პროგრამისა და ორგანიზაციის იმიჯს.

სასურველია, კონკურსანტებმა წარმოადგინონ ესკიზების სრული პაკეტი, თუმცა განხილული იქნება ცალკეული ნიმუშებიც. გამარჯვებულთათვის დაწესებულია ფულადი პრემიები: ერთიანი პაკეტი - 3 000 ლარი ცალკეული ლოგო - 300 ლარი

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა ნიმუშები (სასურველია ელექტრონული ვერსიაც) უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 20 დეკემბრამდე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (თბილისი, უზნაძის 52, ტელ: 96 98 31), საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში, ოთახი N209

განცხადება ინტერნის გამოსატვის თაობაზე

საქართველოსა და სომხეთის სამთავრობათაშორის ერთობლივი კომისიის გადწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს ელექტროენერჯით მომარაგების გაუმჯობესების კუთხით, საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს მიერ შემუშავებულ ღონისძიებათა მოკლევადიანი გეგმა ითვალისწინებს საქართველო-სომხეთის დამაკავშირებელი, ახალი 330 კვ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობას და მის ექსპლუატაციაში გაშვებას. დაფინანსების წყარო იქნება საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროზე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებები.

ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის შესაძლებელი იქნება დაახლოებით 300 მეტრ-მდე ელექტროენერჯის გადმოღობვა სომხეთიდან, ხსენებული ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობით გადმოღობული სიმძლავრის შესაბამისი ელექტროენერჯის რაოდენობის მიწოდება განხორციელდება საქართველოში არსებულ ელექტროენერჯის შესაბამის გამანაწილებელ კომპანიებზე.

საქართველო-სომხეთის დამაკავშირებელი 330 კვ ელექტროგადამცემი ხაზის სიგრძე საქართველოს ტერიტორიაზე შეადგენს 52 კილომეტრს, ხოლო სომხეთის ტერიტორიაზე 50 კილომეტრს. ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის პარალელურად თბილისის რაიონში უნდა დაპროექტდეს და დაიწყოს მშენებლობა 330 კვ ძაბვის უჯრედი, კერძოდ: ელვაზური ამომრთველი, ორი ცალი გამთიშველი და 330 კვ ძაბვის ტრანსფორმატორი, დასამონტაჟებელია ძაბვის უჯრედის შესაბამისი საკაბელო მეურნეობა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო, ქ. თბილისი, 0105, ლერმონტოვის ქ. N10, ინვესტაცია დაინტერესებულ კომპანიას ხსენებულ პროექტთან დაკავშირებით ინტერესის გამოსახატავად.

დაინტერესებულმა პირებმა წინადადება უნდა წარმოადგინონ დახურულ კონვერტში, რომელშიც უნდა მიეთითოს ხსენებული ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციაში გაშვების საერთო საჯარაუდო ღირებულება. ამასთან, წინადადებაში უნდა მიეთითოს მშენებლობის სრულად დასრულების, ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციაში გაშვების საჯარაუდო ვადები. ასევე ინფორმაცია დაინტერესებული კომპანიების მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და მშენებლობისთვის მოთხოვნილი დაფინანსების ფორმებისა და პირობების შესახებ. აგრეთვე, სხვა ინფორმაცია, რის წარმოდგენასაც საჭიროდ ჩათვლის დაინტერესებული პირი.

დაინტერესებულმა პირებმა წინადადებაები ქართულ ენაზე ან ქართულ ენაზე ნათარგმნი ნოტარიულად დამოწმებული სახით უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 15 დეკემბრის 17.00. სთ-მდე ზემოხსენებულ მისამართზე, სამინისტროს კანცელარიაში - მე-4 სართულზე, ქ-ნ. მ. შვიდობაძესთან.

წარმოდგენილი მონაცემები ასევე, უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

- 1.1 საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული რეზიდენტი იურიდიული პირისათვის:
 - ა. რაიონული სასამართლოდან ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
 - ბ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
 - გ. შინაგან საქმეთა სამინისტროდან ცნობას რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული დანაშაულებრივ მოქმედებაში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ-

- ლი დანაშაულისათვის;
- დ. რაიონული სასამართლოდან ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რებილიტაციის საქმე;
- ე. საგადასახადო სამსახურიდან ცნობას ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებების შესახებ (რეგისტრაციის ადგილის მიხედვით).
- ვ. ამონაწერი სამენარმეო რეესტრიდან

- 1.2. საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი რეზიდენტი ფიზიკური პირისათვის:
 - ა. შესაბამისად უფლებამოსილი დაინტერესებულიდან ცნობას რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;
 - ბ. შინაგან საქმეთა სამინისტროდან ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის;
 - გ. რაიონული სასამართლოდან ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
 - დ. საგადასახადო სამსახურიდან ცნობას ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებების შესახებ.

- 1.3. უცხო ქვეყნის რეზიდენტების მიერ ზემოხსენებული მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: არჩილ მამათელაშვილი. მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო, ლერმონტოვის ქ. N10., მე-3 სართული, ტელ: 99-78-47

საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო

მონაცემთა ბაზის ასისტენტი/SLT მდივანი

კომპანია BP-ს მილსადენების პროექტების მიზნებისათვის და BP-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს IRA კონკურსზე ინვესტაციის სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს მონაცემთა ბაზის ასისტენტი/SLT მდივნის თანამდებობის დასაკავებლად. მონაცემთა ბაზის ასისტენტი/SLT მდივანი წარმოადგენს საქართველოში BP-ს მილსადენების მშენებლობის პროექტის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს BP-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

სამუშაოს აღწერა:
მონაცემთა ბაზის ასისტენტი/SLT მდივანი იმუშავებს BP-ს ჯანდაცვისა და უსაფრთხოების გუნდში და პასუხისმგებელი იქნება ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მენეჯერისა და მთელი გუნდისათვის საჭირო დახმარების განცევაზე.

მოვალეობები და პასუხისმგებლობები:
მონაცემთა ბაზის ასისტენტის/SLT მდივნის მოვალეობებს და პასუხისმგებლობას შეადგენს (არ შემოიფარგლება რა ამით):
- ზოგადი ადმინისტრაციული სამუშაოს შესრულება საქართველოში BP-ის ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მენეჯერისათვის, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების გუნდის ხელმძღვანელისა და ამ გუნდისათვის;
- ზოგადი ადმინისტრაციული სამუშაოს შესრულება უსაფრთხოების ხელმძღვანელობის გუნდისათვის (SLT);
- შეხვედრების (SLT, შეხვედრები ჯანდაცვის საკითხებზე და სხვა) ოქმებისა და დღის წესრიგების წარმოება;
- ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის საკითხებისადმი პასუხისმგებლობის გამოვლენა;
- BP-ს თანამშრომელთათვის, მათ შორის სავსელ უსაფრთხოების ოფიცრებისათვის, BP-ს უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის ტრენინგების ჩატარების

სათვის ხელშეწყობა;
- აქტიური მონაწილეობა უსაფრთხოების პროგრამებში;
- STOP-ისა და ASA-ს პროგრამების მონაცემების განახლება და შემდგომი ქმედების აღრიცხვა;
- შემთხვევების მართვისა და ანალიზის სისტემის (IMAS) ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- მოქმედების აღრიცხვის სისტემის (ATS) მონიტორინგი და ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში შესყიდვებისა და მომსახურების შეკვეთების ადმინისტრირება MAXIMO-ს სისტემაში;
- მილსადენის კომპანიაში შემომაგალი და გამავალი კორესპონდენციის აღრიცხვა;
- საჭიროების შემთხვევაში დოკუმენტებისა და შეხვედრების თარგმანა;
- საჭიროებისამებრ სხვა მოვალეობების შესრულება.

მოთხოვნები:
კანდიდატს უნდა ჰქონდეს:
- მინიმუმ ორი წლის სამუშაო გამოცდილება დასავლურ ორგანიზაციაში; დოკუმენტების კონტროლის, მათ შორის კორესპონდენციის, მონაცემებისა და ტექნიკური ინფორმაციის მართვის გამოცდილება;
- კანდიდატი თავისუფლად უნდა ფლობდეს ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენებს (წერილობით, სასაუბრო);
- შემდეგ კომპიუტერულ პროგრამებთან მუშაობის გამოცდილება: MS Word, Excel, PowerPoint;
- ადმინისტრაციული სისტემების ჩამოყალიბებისა და უზრუნველყოფის უნარი;
- გუნდური მუშაობის უნარი, თანამშრომლებისა და სხვა გუნდის წევრებთან

ან ურთიერთობის უნარი;
- საჭიროების შემთხვევაში დამატებითი საათების განმავლობაში მუშაობა;
- კონტრაქტზე და სხვა სახის იურიდიულ დოკუმენტებზე მუშაობის მრავალმხრივი ცოდნა/გამოცდილება;
- შეხვედრების ოქმების წარმოების (სტენოგრაფიული ან სწრაფი ჩანაწერების გაკეთება) გამოცდილება და უნარი.
კანდიდატი უნდა: უწყობდეს ხელს უსაფრთხოების კულტურის "საფეხურებრივ განვითარებას";
- მზად იყოს, საჭიროების შემთხვევაში, გაემგზავროს და დარჩეს ქალაქგარეთ.
განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია
თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვანოლოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იმავე მისამართზე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა **30 ნოემბერი, 2005 ოთხშაბათი**.
კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.
ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემთავაზებას.
კადრების განყოფილება
BP Explorations Caspian Sea Ltd.

უსაფრთხოების ასისტენტი

კომპანია BP-ს მილსადენების პროექტების მიზნებისათვის და BP-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს IRA კონკურსზე ინვესტაციის სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს უსაფრთხოების ასისტენტის თანამდებობის დასაკავებლად. უსაფრთხოების ასისტენტი წარმოადგენს საქართველოში BP-ს მილსადენების მშენებლობის პროექტის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს BP-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

სამუშაოს აღწერა:
უსაფრთხოების ასისტენტი ანგარიშვალდებული იქნება მილსადენის კომპანიის უსაფრთხოების მენეჯერის წინაშე და მისი ძირითადი მოვალეობაა ზოგადი დახმარება ადმინისტრაციული სამუშაოს შესრულება.
მოვალეობები და პასუხისმგებლობები
უსაფრთხოების ასისტენტის მოვალეობებს და პასუხისმგებლობას შეადგენს (არ შემოიფარგლება რა ამით):
- ზოგადი ადმინისტრაციული დახმარების განცევა მილსადენის კომპანიის უსაფრთხოების მენეჯერისათვის;
- BP-ს თანამშრომელთათვის, მათ შორის სავსელ უსაფრთხოების ოფიცრებისათვის, BP-ს უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის ტრენინგების ჩატარებისათვის ხელშეწყობა;
- გუნდების მიერ ჩატარებული სამუშაოს მიხედვით მილსადენის გასხვისების დერეფნის რუკის განახლება დათავარიულების ფურცლების ყოველდღიური მოთხოვნის საფუძველზე;
- მილსადენის ინციდენტების ანგარიშების დაარქივება და ორგანიზება;
- შემთხვევების მართვისა და ანალიზის სისტემის (IMAS) ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- მონაცემთა ბაზის წარმოება ყველა იმ შემდგომი ქმედების აღსარიცხავად, რომელიც

მელიც თან მოჰყვება ინციდენტების/პოტენციური ინციდენტების ანგარიშებს;
- ყოველთვიური ბიულეტენის მომზადება და გამოშვება;
- ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის საკითხებისადმი პასუხისმგებლობის გამოვლენა;
- აქტიური მონაწილეობა უსაფრთხოების პროგრამებში; დახმარების განცევა "მიღებული გამოცდილების" ანგარიშების წარმოებაში, რათა მოხდეს კორექციული მოქმედების განხორციელება; "მიღებული გამოცდილების" ანგარიშების წარმოების მიზნით შეინარჩუნოს და აკონტროლოს თავდაპირველი ინციდენტი და თავიდან იქნას აცილებული დაშვებული შეცდომის განმეორება;
- "მიღებული გამოცდილების" ანგარიშების დაარქივება და ორგანიზება; მილსადენის კომპანიაში შემომაგალი და გამავალი კორესპონდენციის აღრიცხვა (DVR-ების ჩათვლით);
- ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში შესყიდვებისა და მომსახურების შეკვეთების ადმინისტრირება და კონტროლი MAXIMO-ს სისტემაში;
- საჭიროების შემთხვევაში დოკუმენტებისა და შეხვედრების თარგმანა;
- საჭიროებისამებრ სხვა მოვალეობების შესრულება.
მოთხოვნები:
კანდიდატს უნდა ჰქონდეს:
- მინიმუმ ორი წლის სამუშაო გამოცდილება დასავლურ ორგანიზაციაში; დოკუმენტების, მათ შორის კორესპონდენციის, მონაცემებისა და ტექნიკური ინფორმაციის, კონტროლის გამოცდილება;
- კანდიდატი თავისუფლად უნდა ფლობდეს ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენებს (წერილობით, სასაუბრო);
- შემდეგ კომპიუტერულ პროგრამებთან მუშაობის გამოცდილება: MS Word, Excel, PowerPoint;

- ადმინისტრაციული სისტემების ჩამოყალიბებისა და უზრუნველყოფის უნარი;
- გუნდური მუშაობის უნარი, თანამშრომლებისა და სხვა გუნდის წევრებთან ურთიერთობის უნარი;
- საჭიროების შემთხვევაში დამატებითი საათების განმავლობაში მუშაობა;
- კონტრაქტზე და სხვა სახის იურიდიულ დოკუმენტებზე მუშაობის მრავალმხრივი ცოდნა/გამოცდილება;
- შეხვედრების ოქმების წარმოების (სტენოგრაფიული ან სწრაფი ჩანაწერების გაკეთება) გამოცდილება და უნარი.
კანდიდატი უნდა: უწყობდეს ხელს უსაფრთხოების კულტურის "საფეხურებრივ განვითარებას";
- მზად იყოს, საჭიროების შემთხვევაში, გაემგზავროს და დარჩეს ქალაქგარეთ.
განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია
თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვანოლოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იმავე მისამართზე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა **30 ნოემბერი, 2005 ოთხშაბათი**.
კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.
ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემთავაზებას.
კადრების განყოფილება
BP Explorations Caspian Sea Ltd.



ქალაქ ბათუმის მთავრობის 2005 წლის 18 ნოემბრის N230 დადგენილების დ ა ნ ა რ თ ი

ქ. ბათუმის საზღვაო ნავსადგურის აკვატორიაში სატანკერო ფლოტის უსაფრთხო მანევრირების მიზნით ორი საორიენტაციო ანძის მშენებლობისათვის საზღვაო ნავსადგურის მიმდებარე არსებული სკვერიდან 40 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემაზე საკონკურსო პირობები

შესავალი

ქ. ბათუმის მთავრობა აღნიშნავს, რომ ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურის აკვატორიაში სატანკერო ფლოტის სამანევრო სამუშაოთა უსაფრთხოების მიზნით ქ. ბათუმის მთავრობის 2005 წლის 18 ნოემბრის N230 დადგენილების შესაბამისად ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის მიწის მარ-თვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ქ. ბათუმის საზღვაო ნავსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სკვერში ორი საორიენტაციო ანძის მშენებლობისათვის 40 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემაზე.

1. კონკურსის მიზანი

ქ. ბათუმში საზღვაო ვაგზის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სკვერში სატანკერო ფლოტის უსაფრთხო მანევრირების მიზნით ორი საორიენტაციო ანძის მშენებლობა.

2. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ

მიწის ნაკვეთის მისამართი: ქ. ბათუმში საზღვაო ნავსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სკვერი;
მიწის ნაკვეთის განკარგვის ფორმა: კონკურსი;
მიწის ნაკვეთის გასაზღვრის ფორმა: იჯარა;
მიწის ნაკვეთის გამოყენების ფორმა (მიზნობრივი) - ორი საორიენტაციო ანძის მშენებლობა.
მიწის ნაკვეთის ფართობი: 40 კვ.მ;
მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი: 1 კვ.მ-ზე - 1,05 ლარი, სულ 42 ლარი.

3. საკონკურსო პირობები

ქ. ბათუმში საზღვაო ნავსადგურის მიმდებარე არსებულ სკვერში სატანკერო ფლოტის უსაფრთხო მანევრირების მიზნით ორი საორიენტაციო ანძის მშენებლობა. კონკურსის ძირითადი პირობაა ქალაქში არსებული სკვერის, პარისა და ხეივანის იერსახის მონერსივება და თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისობაში მოყვანა და მისი შემდგომი მოვლა-დაცვის მიზნით პასუხისმგებლობის ამაღლება. კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელია შენატანის ოდენობა განი-საზღვროს კონკრეტულ ზონაში გამოყოფილ ფართზე არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გადასაცემად ნორმატიული ფასის შესაბამისად, ხოლო შემდეგ წლებში იმ დროისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური საიჯარო ქირის ოდენობიდან გამომდინარე მოხდება ამ თანხის კორექტირება. იჯარის ხელშეკრულების ვადის ამონაწილს შემდეგ, მხარეთა შეთანხმებით, შე-საძლებელია ხელშეკრულების გაგრძელება 19 წლის ვადით.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს, აგრეთვე კერძო პირებს, რომლებიც აიღებენ ვალდებულებას, რომ კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გააფორმებენ შესაბამის ხელშეკრულებას. შემდგომში ეს პირები მოიხსენიებიან, როგორც პრეტენდენტები. კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა საკონკურსო კომისიას უნდა წარუდგინოს განცხადება, რომელშიც მითითებული იქნება კონკურსში მონაწილეობის სურვილი. განცხადებასთან ერთად წარდგენილ უნდა იქნეს სადამფუძნებლო დოკუმენტების (იურიდიული პირებისათვის) ან პირადობის მოწმობის (ფიზიკური პირებისათვის) დამოწმებული ასლები. პრეტენდენტმა განცხადებასთან ერთად წერილობით, დალუქული კონვერტის სახით, უნდა წარუდგინოს განაცხადი, წინადადებები (შემდგომში - განაცხადი), რომელშიც ასახული უნდა იყოს ამ საკითხებთან დაკავშირებით პრეტენდენტის ხედვა. კონკურსში მონაწილეობის გარანტიისათვის კონკურსში მონაწილეობის მსურველმა კომისიის სასარგებლოდ დეპოზიტზე უნდა შეიტანოს 2,10 ლარი, რაც წარმოადგენს 40 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საწყისი საიჯარო ქირის 42 ლარის 5%-ს. აღნიშნული

თანხა გამარჯვებულ პრეტენდენტს ჩაეთვლება პირველი წლის გადასახდელი საიჯარო ქირის ანგარიშში, ხოლო დამარცხებულს ერთი კვირის ვადაში დაუბრუნდება იმავე წესით, რომლითაც მან ეს თანხა შემოიტანა.

სახელმწიფო და მისი ოფიციალური პირები არ აგებენ პასუხს მატერიალურ და-ნახარჯებზე, რომლებსაც გასწევენ პრეტენდენტები საკონკურსო პროცესში მონაწილეობისათვის.

4. კონკურსის ორგანიზება და შედეგების გაფორმება.

ქ. ბათუმის მთავრობის მიერ დადგენილ ვადაში, პრეტენდენტი წარუდგენს საკონკურსო კომისიას განცხადებას კონკურსში მონაწილეობის თაობაზე, "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელ საბუთს, სადამფუძნებლო დოკუმენტების (იურიდიული პირებისათვის) ან პირადობის მოწმობის (ფიზიკური პირებისათვის) დამოწმებული ას-ლებს და განაცხადს ერთი დალუქული პაკეტის სახით.

საკონკურსო კომისია დადგენილ დღეს, დანიშნულ დროს, პრეტენდენტთა წარ-მომადგენლების თანდასწრებით საჯარო განხილვისათვის გახსნის განაცხადის და-ლუქულ პაკეტებს.

კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდება იმ პრეტენდენტის მიერ წარმოდგე-ნილი განაცხადი, რომელიც საუკეთესოდ იქნება ცნობილი საკონკურსო კომისიის მიერ და რომელიც სრულად დააკმაყოფილებს მთავრობის მიერ დასმულ საკონკურ-სო პირობებს.

თუ წარმოდგენილი განაცხადი ან დართული დოკუმენტები საჭიროებს შემოწმე-ბას ან დაზუსტებას, საკონკურსო კომისიამ შეიძლება გადადოს გადაწყვეტილების მიღება კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადით, რაც დასჭირდება ამ მონაცე-მების შემოწმებას ან დაზუსტებას.

თუ პრეტენდენტის განაცხადში ერთი ან მეტი კომპონენტი დამოკიდებულია სხვა პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ საიჯარო ქირაზე, ან სხვა რაიმე პირობა-ზე, ამგვარი განაცხადი არ განიხილება.

გამარჯვებულ პრეტენდენტთან, რომელიც შემდგომში მოიხსენიება როგორც ოპერატორი, ქ. ბათუმის მთავრობა 1 თვის ვადაში გააფორმებს მიწის იჯარის ხელ-შეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) და მისი პირობების შესაბამისად გადასცე-მს მას საიჯარო ქონებას და ოპერირების უფლებას. ხელშეკრულების პირობები გა-ნისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, გამოცხადებული კონკუ-რსის პირობების და შემოტანილი განაცხადის საფუძველზე.

ხელშეკრულებით ოპერატორს დაეკისრება ამ პროგრამით გათვალისწინებულ-ი მოთხოვნების, საკონკურსო პირობების, აგრეთვე მის მიერ აღებული ვალდებულე-ბების შესრულება. ხელშეკრულების დარღვევა შეიძლება გახდეს მისი გაუქმების სა-ფუძველი და დამრღვევ მხარეს დაეკისროს მატერიალური პასუხისმგებლობა.

ხელშეკრულების შესრულებისას ოპერატორი იქნება დამოუკიდებელი კონტრაქ-ტორი, მაგრამ მას არ შეუძლია თავისი უფლებები გადასცეს სხვა იურიდიულ ან ფი-ზიკურ პირს, მათ შორის მისი მონაწილეობით შექმნილ სა-აგენტოს, ამხანაგობას, ერთობლივ საწარმოს ან რაიმე სხვა ერთობლივ ორგანიზაციას მთავრობასთან შე-თანხმების გარეშე.

ხელშეკრულების შესრულებაზე პასუხისმგებელია მხოლოდ ოპერატორი. ოპერა-ტორის მიერ დაქირავებული ყველა თანამშრომელი, წარმომადგენელი თუ ქვემო-ჯარე იქნება ამ კომპანიის სრული კონტროლის ქვეშ.

მთავრობა, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არ გაასხვისებს, არ რაიმე სხვა ფორმით არ გადაცემს სხვა ნებისმიერ პირზე იმ ტერიტორიას, რომელიც ოპერა-ტორს (მეიჯარეს) გადაეცემა მოვლა-პატრონობის უფლებით ოპერატორის თანხმე-ბის გარეშე, გარდა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევისა.

განაცხადი უნდა შევიდეს შემდეგ მისამართზე: ქალაქ ბათუმის ეკონომიკური პოლიტიკის ადგილობრივი სამსახური, ლუკა ასათიანის ქ. N25. ტელ: 7-26-45; 7-20-03.

კონკურსში განაცხადის მიღება შეწყდება 2005 წლის 29 დეკემბერს, 1500 სთ-ზე. კომისიის სხდომაზე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დალუქული პაკე-ტის გახსნა და საჯარო განხილვა მოხდება 2005 წლის 29 დეკემბერს, 1600 სთ-ზე. კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა "ბე" უნდა შეიტანოს შემდეგ ან-გარიშზე:

აჭარის ცენტრალური ბანკი 220501102
მისამართი - ქ. ბათუმის საფინანსო სამსახური.
საიდენტიფიკაციო კოდი 245428531.
ანგარიშსწორების ანგარიშის N000142402

ენერგორგანიზაციები ერთმანეთთან ანგარიშსწორებას სახითუმო ბაზრის გარეშე განახორციელებენ

ენერგორგანიზაციები ერთმანეთს შორის ანგარიშსწორებას ელექტროენერჯის სახითუმო ბაზრის გარე-შე განახორციელებენ. საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში უკვე შევიდა "თელას-სა" და "სახელმწიფო ელექტროსისტემა-სა"; "თელასა" და "საქრუსენერჯის" და "თელასა" და "შტკარი ენერჯე-ტიკას" შორის გაფორმებული პირდა-პირი ხელშეკრულებები, რომელიც სე-მეკ-მა უნდა დამტკიცდეს. როგორც ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ალექს ხეთაგურმა განაცხადა, დღეს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ელექტროენერჯის გაყიდვის 2 გზა არსებობს - ელექტროენერჯის გაყი-

დვა სახითუმო ბაზრის მეშვეობით და პირდაპირი ხელშეკრულებების გზით. "სემეკ-მა გადაწყვიტა, რომ ამ ეტაპ-ზე ენერგოსისტემისთვის უმჯობესი იქნება, თუ ენერგორგანიზაციებს შორის ურთიერთობა პირდაპირი ხე-ლშეკრულებების მეშვეობით მოხ-დება. ამიტომ, ამ ორგანიზაციებს შორის პირდაპირი ხელშეკრულებე-ბი უკვე გაფორმებულია," - განაცხა-და ხეთაგურმა. ენერგორგანიზაციე-ბის ურთიერთობას პირდაპირი ხელ-შეკრულებების საფუძველზე მნიშვნე-ლოვანს უწოდებს სემეკ-ის თავმჯდო-მარე გიორგი თავაძემ.

ინტერპრესნუსი



აქტიურობის კომუნალური გადასახდელი

გსართ დახმარებთ დრო, ნაკლები და ფული?
დაივიწყეთ რიგები გადასახდელს კუნძულებში.
ჩაჭრილი დენი. გადასახდელი კვითრები...

რას წარმოადგენს "აქტიურობის კომუნალური გადასახდელი" ბანკის სერვისი?

"აქტიურობის კომუნალური გადასახდელი" არის მომხმარებლის დასახლება ბანკისა და გადასახდელს მისი ანგარიშიდან კომუნალური და სხვა დანიშნულების გადასახდელი. ანუ მომხმარებელი აღარ ფიქრობს, თუ როდის და რამდენი აქვს გადასახდელი დენის, გაზის, ტელეფონის და სხვა დანიშნულების დასაფარად. მას აღარ უნდა ყოველთვიურად ზრუნავდეს გადასახდელის გასტუმრებაზე. მის ნაცვალად ამ საქმეს ასრულებს ბანკი, რომელიც ავტომატურად გადასახდელს საჭირო თანხას მომხმარებლის ანგარიშიდან კომუნალური კომპანიის ანგარიშზე.

როგორ კომუნიკაციაზე დასაქმებული აქტიურობის ბანკის სერვისი?

ავტომატური კომუნალური გადასახდელის საშუალებით მომხმარებელს საშუალება ეძლევა უკვე დღეს სრულად მოიხსნას

- თუღასის;
 - თბილისის;
 - თბილისის მუნიციპალიტეტის;
 - აიტი TV ის;
 - ჯორჯია ონლაინის;
 - სანეის;
 - კავკასუს ნეთვორქის;
 - ჯიშიაი მოლდინგის;
- ყოველთვიური თანხის გადახდის პრობლემა.

+ ავტომატური პერიოდული სალონო გადასახდელი ექსპირებულ თანხაზე ნებისმიერი მიწარმოებლის

გადასახდელი ბანკის მიერ ყოველთვიური დროულად შესრულება. მთავარია უზრუნველყოთ თქვენს საბანკო ანგარიშზე საკმარისი თანხის არსებობა!

სერვისზე რეგისტრაცია არის უშუალოდ. მომსახურების გადასახდელი ყოველდღეს კვარტალში 5 ლარს.

თითოეული გადასახდელი განხორციელებისთანავე, ბანკი სმს-ით გამოგიგზავნით შესაბამის ინფორმაციას თქვენს მიერ განაცხადში მითითებულ მობილურის ტელეფონზე.



ახალი, ყვანა მალაი სახიოუნსო ბანახვითაი პროკრედიტ ბანკი 30 ნოემბერი!

გახსენით ვადანი ანახაი პროკრედიტ ბანკი და მიიღეთ ვიზა ჩიპ ჯდასიხი საჩუქად!

შემანახვანი ანახაი, ყვანა მალაი სახიოუნსო ბანახვითაი

- მიიღეთ ყველაზე მალაი სახიგებელი, ახლა უკვე **6%** წლიური აშშ დოლარში და **8%** ლაში გახსნილ ანახიებზე
- გაიტანეთ და შემოიტანეთ თანხა ნებისმიერ დროს
- დაინყეთ შეგროვება 5 ლაიდან

პროკრედიტ ბანკი, ყვანა მალაი სახიოუნსო სახიგებელი

- მიიღეთ **10%** წლიური დოლარში და **13,5%** ლაში გახსნილ ანახიებზე
- ვიზა ჩიპ ჯდასიხი საჩუქად ანახიებზე 500 დოლარიდან!

პროკრედიტ ბანკი, ბანკი ხომელსაც ენობიან მსოფლიოს სამ ეონტინენტზე

"უნიჰო ფეხბურთელი", როგორც მსოფლიო ალაპარაკა

კახი კალაძე მინდორზე და მინდორს გარეთ

A1 **გაზაფხული**

ის დინჯად საუბრობს, ოდნავ ფლემატურია... შესაძლოა, დიალა... რალაც არ ჰგავს მოედანზე ნანახ იმ ცეცხლოვან მოთამაშეს. ახლაც თბილისში ეროვნული ნაკრების ვარჯიშებზე იყო ჩამოსული. მას უნივერსალურ ფეხბურთელს უწოდებენ. კარიერა მცველად დაიწყო. კიევის "დინამოში" თითქმის ყველა პოზიცია მოისწავა, დღეს კი, იტალიური "მილანის" მარცხენა მცველია: იცავს და უტევს... რამდენიმე თვის წინ "კალა"-თი ინგლისური გრანდი - ლონდონის ჩელსი იყო დაინტერესებული, თუმცა მილანის ხელმძღვანელობამ ქართველი ფეხბურთელი ვერ დათმო. მეტიც, კონტრაქტი კიდევ ხუთი წლით გაუხანგრძლივა. მოგებული აქვს თითქმის ყველა საკლუბო ტიტული. ეროვნულ ნაკრებზე რომ ეკითხები, აშკარად ეცვლება გამოთქმები: "ახლო წარსულში "ჩელსიში" გადასვლაზე ვფიქრობდი. "მილანის" მწვერული ხან მათამაშებდა, ხანაც არა. მე კი, თამაში მსურდა. ამიტომაც გადაწყვიტე ლონდონის "ჩელსის" შემოთავაზების მიღება. მართალია, ეს გუნდი "მილანისნაირი" ტიტულოვანი არ არის, მაგრამ დღეს ევროპაში ერთ-ერთი უძლიერესია. თუმცა "მილანმა" არ გამოიშვა, რადგან ერთ-ერთი ახალგაზრდა ფეხბურთელი ვარ გუნდის დაცვაში. საკვარაუდოდ, წელს სამი ფეხბურთელი დაასრულეს კარიერას. მილანს ვჭირვართბოდი და კონტრაქტი ხუთი წლით გამიხანგრძლივა."

ამბობენ, ბოლო დროს მილანში პრობლემები იყო... "გუნდში არანაირი პრობლემები არ არის. იტალიის ჩემპიონატი მეორე ადგილზე ვართ. მართალია, ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთ ბოლო ტურში წავავეთ, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ გუნდში პრობლემებია. რაც არ უნდა ძლიერი გუნდი იყო, ყველა თამაშს ვერ მოიგებ. დიდი იმედები გვაქვს, რომ ჩემპიონატსაც და ლიგასაც მოვიგებთ. თუმცა ჩვენთვის ლიგის ადგილი უფრო პრიორიტეტულია, ეს თასი უფრო პრესტიჟულია. მილანში ნაგებთან ან ფრზე შედეგითა საუბარი. მოგება, მოგება და მხოლოდ მოგება..."



ფოტო: ლევან წიკვაძე - ფოტო

ზე ფიქრით იწყება... დღე რესტორანში ვაშვობით სრულდება. "ცხოვრობ, როგორც ნებისმიერი ჩვეულებრივი ადამიანი. დილით, რომ ვდგები მეზობელ ბარში ჩავდივარ, ვსაუზობ, ყავას ვსვამ. შემდეგ ვარჯიშზე მივდივარ, რომელიც ორ საათს გრძელდება. მერე სახლში ვბრუნდები. ამის შემდეგ, მეგობრებთან ერთად ბარში მივდივარ, მაღაზიებში ვაივლი, ან ვაღაპრობ. საღამოს ტრადიციულად რესტორანში ვვახვობ, რადგან მარტო ცხოვრობ და საქმის კეთება არ მეხერხება. სახლში საყვარელი ადგილი ტელევიზორის წინ სავარაუდოდ. ამ დროს ვცდილობ რაიმე ქართულს ვუყურო..."



ფოტო: ლევან წიკვაძე - ფოტო

თბილისი-კიევი-მილანი

"გვირი ფიქრობს, რომ ის რასაც მივლავს ადვილი იყო. გარდასვლა უკვე აღარ ჩანს, რა გასაღვივ მილანამდე. ჯერ თბილისის "დინამოში" მოხვედრა, შემდეგ "მელისის" გუნდში. კიევის "დინამოში" თამაში და ბოლოს, ევროპის უძლიერეს გუნდში "მილანში" დამკვიდრება. წარმატებების უკან ძალიან ბევრი სიტუაცია იმართა, რომლებიც არ ჩანს. იოლი ამ ქვეყნად არაფერია."

პირველ სახფეხბურთო გუნდში მიღებულმა იმედგაცრუებამ კახი კალაძეზე სტიმული იმოქმედა. "ადვილად არასოდეს ვმუშავებდი, მაქსიმალისტი ვარ." მაშინ, ამ ფაქტის შემდეგ კახი "თბილისის დინამოს" ფეხბურთელი გახდა. თუმცა, კალაძის მატარებელი თბილისი დიდხანს არ გაჩერებულა. "კლას" მომდევნო გაჩერება კიევიში იყო. "თბილისის დინამოში" თამაში და საქართველოს ნაკრები იტალიასთან პირველ ოფიციალურ მატჩს მართავდა. მაშინ 17 წლის ვიყავი. მეთორმეტე წელზე ნაკრების კაპიტანი კახი ცხადად დაინტერესდა მე. შემთხვევით მოვიხვედნენ სათამაშოდ. ბავშვი ვიყავი, თუმცა ძალიან მაღალ დონეზე ჩავატარე ის მატჩი. იმ დღეს, მატჩს ტრიბუნებიდან კიევის "დინამოს" სელექციონერები ადევნებდნენ თვალყურს. მე მათი ყურადღების ცენტრში მოვექცეი. ასე, ალემორნი კიევის "დინამოში."

კახი მიაჩნია, რომ პროფესიონალ ფეხბურთელად სწორედ კიევიში ჩამოყალიბდა. "18 წლის ვიყავი, კიევის დინამოსთან კონტრაქტი რომ გავფორმე. ჩემს პროფესიონალად და კაცად ჩამოყალიბებამ უდიდესი წვლილი სწორედ ვალერი ლობანოვსკის და კიევის "დინამოს" მიუძღვის."

კახი კალაძის მილანური დილა სახლის მახლობლად, ბარში, კაპუჩინოს სმით და მომავალ დღე-

ზე ფიქრით იწყება... დღე რესტორანში ვაშვობით სრულდება. "ცხოვრობ, როგორც ნებისმიერი ჩვეულებრივი ადამიანი. დილით, რომ ვდგები მეზობელ ბარში ჩავდივარ, ვსაუზობ, ყავას ვსვამ. შემდეგ ვარჯიშზე მივდივარ, რომელიც ორ საათს გრძელდება. მერე სახლში ვბრუნდები. ამის შემდეგ, მეგობრებთან ერთად ბარში მივდივარ, მაღაზიებში ვაივლი, ან ვაღაპრობ. საღამოს ტრადიციულად რესტორანში ვვახვობ, რადგან მარტო ცხოვრობ და საქმის კეთება არ მეხერხება. სახლში საყვარელი ადგილი ტელევიზორის წინ სავარაუდოდ. ამ დროს ვცდილობ რაიმე ქართულს ვუყურო..."

"კალა" სახლში ხშირია სტუმარიანობა. "თავისუფალ დროს ძირითადად სტუმრები მყავს. ხშირად მსტუმრობენ მეგობრები საქართველოდან, მოსკოვიდან, კიევიდან..." ზაფხულობით დასვენება კახს მონტიკარლოში უყვარს... "რა თქმა უნდა, სასაიმონო, როცა პოპულარული ხარ, თუმცა ეს ამავე დროს დამბლულიცაა. ხანდახან მილანში მივხვები, მეგობრებთან ერთად თავისუფლად ვაივარს ქუჩებში, მაგრამ ეს შეუძლებელია. ზოგი ავტორაფისთვის მოდის, ზოგი სურათის გადასაღებად. ძალიან დამბლულია..."

კახის იტალიური ცხოვრება მინდორს გარეთ ძირითადად თანავდევლებით ურთიერთობაში ვადას. როგორც იხსენებს ახალქალაქთან და გარემოსთან შეგუებაში ძალიან დაეხმარნენ "შავ-თეთრი მილანელები". განსაკუთრებით ვერავის გამოყვას, "კალას" ყველასთან კარგი ურთიერთობა აქვს. "მილანელი ფეხბურთელები ურთიერთობაში ძალიან უშუალოები არიან. თითქმის ყველასთან ვმეგობრობ. თუმცა, უფრო ხშირი ურთიერთობა მაქვს მალონიისთან, შვეიცარიასთან, კოსტაკურტასთან... ჩვენი გუნდი ერთი პატარა ოჯახია. იტალიელებთან ურთიერთობაში ძალიან მემხარბობა ის ფაქტი, რომ ისინი ტემპერამენტი ძალიან შევანაპირებულნი არიან. ჩემი თანავუნდებლები განსაკუთრებული იუმორის გრძობით გამოირჩევიან. სხვათა შორის, მეც ძალიან მიყვარს ხუმრობა. განსაკუთრებით ვხუმრობთ ერთმანეთის ჩაცმულობაზე..."

ფეხბურთელი ჩემთვის სამსახურია. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ადამიანად დავარჩე, ღირსეულები არ დავკარგო. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ პატივს შემეძინა არამარტო იმიტომ, რომ კარგი ფეხბურთელი ვარ, არამედ იმიტომაც, რომ კარგი პორტუნა ვარ." გულში წყნას არასოდეს იტოვებს. "დრო რომ გადის ყველაფერი მავინყვდება. ასეთი ადამიანი ვარ..."

ვარსკვლავური სენი? "ეს უკვე ადამიანზეა დამოკიდებული. შეიძლება, ძლიერი ფეხბურთელი იყო, თუმცა მინდორის გარეთ - რადიკალურად განსხვავებული პიროვნება. არაფერმა არ უნდა გაგაკვიროს ცხოვრებაში იმიტომ, რომ მუდმივად არაფერია. ოდესმე ყველაფერი შეივრდება. მიღწეული წარმატებების მიუხედავად ღირსეულად ადამიანად უნდა დარჩე..."

კახი კალაძე არის ფეხბურთელი, რომელიც ცდილობს მოედანზე ჯერჯერობით იყოს... "მოთამაშე მოედანზეც ყველმენი უნდა იყოს. ნებისმიერი დიდი გუნდი, მათ შორის "მილანი" ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ფეხბურთელის პიროვნულ თვისებებს. მაგალითად, "რომა"-ს ფეხბურთელი კასანო ძალიან ძლიერი ფეხბურთელია, მაგრამ როგორც ხიროვნება აუტანელია. ძალიან ძნელია, ასეთი ფეხბურთელი მილანისნაირ გუნდში მოხვდეს სათამაშოდ."

"კალა" "24 საათის" მკითხველს არც თავის პირად ცხოვრებას უშალავს: "ამ ეტაპზე, შეყვარებული არ ვარ. უკვე წელიწადნახევარია მარტო ცხოვრობ. მანამდე, თითქმის ხუთი წელი ერთ გოგონასთან ერთად ვცხოვრობდი. ზოგადად, ქალს ჩემს ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს. რუსები, როგორც იტყვიან - "женился, это счастье". გამოგიტყდებით, რომანტიკოსი ადამიანი ვარ..."

კახი კალაძის კარიერაში სიძნელეები წარმატებების თანმდევი იყო. თვლის, რომ მათ გადალახვაში საკუთარი ხასიათი ეხმარება. "ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მოტივაციას და ზოგადად, ადამიანის ხასიათს. ვერ ვიტყვი, რომ საქართველოში ყველაზე ნიჭიერი ფეხბურთელი ვიყავი. ბევრი იყო და არის ჩემზე ნიჭიერი მოთამაშე. უბრალოდ, ისინი ბარიერების გადალახვისას ხელს ადვილად ჩაქუჩენენ ხოლმე, რაც ძალიან დიდი შეცდომაა. შრომის და სიძნელეების გადალახვის გარეშე რთულია რაიმეს მიღწევა. მე სირთულეებს გადალახვაში, პირველ რიგში, საკუთარი ხასიათი უმადვდ უკვე ოჯახი და მეგობრები მემხარბობენ."

კიევი. მილანი თუ თბილისი?

კახი ყოველთვის დიდი სიამოვნებით საუბრობს კიევე და იქ გატარებულ წლებზე. კარიერის დასრულების შემდეგ სიამოვნებით იცხოვრებდა იქ. თუმცა, არასამუდამოდ... "კიევიმ და დავიკარი 18 წლის ვიყავი. ახალგაზრდობის საუკეთესო წლები 18-დან 24 წლამდე იქ გავატარე. ძალიან ლამაზი ქალაქია, ხალხიც ძალიან თბილია. ქართველებთან ძალიან კარგი ურთიერთობა აქვთ და, სხვათა შორის, ძალიან ადვილად ქართველი ცხოვრობს უკრაინაში. თუმცა, აქვე კი ვერ ვცხოვრებ სამუდამოდ. არ მიყვარს ერთ ადგილზე დიდხანს გაჩერება. თან, საქართველოს გარეშე არ შემიძლია ყოფნა. ჩემთვის იტალია უკვე მშობლიური ქალაქია. თუმცა, მოდით, მოვლენებს არ გავუსწრებ. ერთი ზუსტად ვიცი - ძალიან ბევრს ვიმეზობურებ..."

გულახდილად მკითხველთან...

"ფეხბურთელი ჩემთვის სამსახურია. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ადამიანად დავარჩე, ღირსეულები არ დავკარგო. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ პატივს შემეძინა არამარტო იმიტომ, რომ კარგი ფეხბურთელი ვარ, არამედ იმიტომაც, რომ კარგი პორტუნა ვარ." გულში წყნას არასოდეს იტოვებს. "დრო რომ გადის ყველაფერი მავინყვდება. ასეთი ადამიანი ვარ..."

